შ.პ.ს საექსპერტო- აუდიტორული ფირმა “არალკ”

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ზ №5/517 გაცემულია /14.05.2011წ./
მისამართი ქ. ხობი კოსტავას ქ. №4 ტელ: 568-84-76-08
სს ლიბერთი ბანკი ხობის ფილიალი კოდი 220101465 ანგ. № GE20LB0610006534020223

№ 24

30 ნოემბერი 2016 წელი

## აუდიტორული დასკვნა ქონების შეფასებაზე

შ.პ.ს საექსპერტო აუდიტორული ფირმა “არალკ”-ის აუდიტორის კლარა ქადარიას მიერ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ქარიატის საჯარო სკოლის დირექტორის მაია ალექსანდრიას მ/წლის 28 ნოემბრის მომართვის №11601422844 და ურთიერთდადებული ხელშეკრულების საფუძველზე და წარმოდგენილი დოკუმენტების (შენობის სურათების) მიხედვით. დავათვალიერე სკოლის ბალანსზე რიცხული დაზიანებული შენობა “მასწავლებელთა სახლი” მისი ვარგისიანობის დადგენის მიზნით.

## შესაფასებელი ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა

“მასწავლებელთა სახლი” აშენებულია 1971 წელს, შენობა გეგმაში 8X11 ზომისაა. ვიზუალური დათვალიერებიდან ირკვევა რომ გამოსულია სიბრტყიდან. ამჟამად დარჩენილია მხოლოდ წვრილი ბლოკით ნაშენი კედლები, კედლები ჩამონგრეულია,კედლის ზედაპირზე წარმოქმნილია ხავსი და ნაჯაოები, ატმოსფერული ნალექების ინტენსიური ჩადინების გამო გაშიშვლებულია საძირკვლები და დარღვეულია კედლის წყობის სტრუქტურა. ცვეთის ხარისხი ძალზე მაღალია. შენობიდან დარჩენილი კედლები არ ექვემდებარება აღდგენა ექსპლუატაციას ექვემდებარება დემონტაჟს.

მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიზანშეწონილია “მასწავლებელთა სახლი”ს შენობის მთლიანი დემონტაჟის განხორციელება, რაც შეეხება სკოლის “მასწავლებელთა სახლი’-ს შენობის სადემონტაჟო სამუშაოების სავარაუდო ღირებულებას, ყველა თანმდევი ხარჯების გათვალისწინებით (მოსამზადებელი სამუშაოები, დემონტაჟი,მანქანა მექნიზმები, ტრანსპორტი, მუშახელი, გაწმენდითი სამუშაოები) ჩემს მიერ შეფასდა 800 ლარად.
დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალის ღირებულება არის 0 (ნული) ლარი.

რომლის სისწორეს ვადასტურებ

აუდიტორ-დირექტორი: /კ. ქადარია/

საექსპერტო-აუდიტორული ფირმა „არალკ" 244690875